

სპორტული

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Л Е Л О

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

14 უეიჯები „ტერტს“ ვიბნუი

ამ დღეებში ლიბციგში გაიმართა ცურვის ევროპის ლიგის წარმომადგენელთა სპეციალური სსდომა, რომელმაც ევროპის რეკორდებზე დაამტკიცა 14 უეიჯე, რომელთა შორის 4 საბჭოთა სპორტსმენებს ეკუთვნის.

ევროპის საუკეთესო შედეგებს „ოქროს“ წიგნში შეტანილია კოლენიკოვის მაჩვენებელი 200 მეტრზე ბრასით ცურვაში — 2,35,6. 2 რეკორდი დაამყარა ბარბიერმა. მან 100 მეტრზე ზურგზე

ცურვაში აჩვენა — 1.02,1, ხოლო 200 მეტრზე — 2.16,5. ევროპის მეოთხე რეკორდი საბჭოთა სპორტსმენებს ეკუთვნის ესტაფეტაში 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით — 4.11,2.

კარგი შედეგები აქვთ გღრს მოცურავეებსაც, რომლებმაც 4 იდგილი დაიკავეს „ოქროს“ წიგნში. ტიტესმა ვაჟთა შორის 100 მეტრზე ბრასით ცურვაში აჩვენა 1.10,8, 3 რეკორდი ეკუთვნის ქალებს: იბელს — 100 მ ბრასით ცურვაში — 1.18,2, ბაიერს — 200 მ

ბრასით ცურვაში — 2.48,0 და ნაკრებს კომბინირებულ ესტაფეტაში — 4X100 მეტრზე — 4.46,6.

ლიბციგის სპეციალურ სსდომაზე ევროპის რეკორდებზე დაამტკიცა აგრეთვე პეტცის (გფრ) მაჩვენებელი 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 2.04,0. ქალთა შორის ამავე სტილით ამავე დისტანციაზე პოლანდიელ ლასტერის მაჩვენებელი — 2.18,2; 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით შვედ რილანდერის დრო — 19.02,8; პოლანდიელ ვან ველცენს დრო — 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში — 1.10,5 და ფრანგი პისენტინის მაჩვენებელი — 2.33,9 ამავე სტილით 200 მეტრზე ცურვაში. მც-14 შესწორება ევროპის რეკორდების ცხრილში ეკუთვნის პოლანდიელ მიეს, რომელმაც 400 მეტრი კომპლექსური ცურვით დაფარა 5.39,4 წუთში.

სტუმრების გამარჯვებით


კუნსაში დამთავრდა მოსკოვის, ვილნიუსის, კუნსისა და ჩეხოსლოვაკიის ქალაქ პლზენის უძლიერეს ხელბურთელ ვაჟთა გუნდების ტურნირი. როგორც უკვე გაცხადებულა, ტურნირი წარმატებით დაიწყო. ქ. პლზენის „სპარტაკის“ და მოსკოვის „ტრუდის“ ხელბურთელებმა.

ტურნირის მეორე დღეს ჩატარდა ამ გუნდების შეხვედრა. ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა ადვილად სძლიეს მოსკოველებს — 23:12. ამავე დღეს კუნსის „ათლეტა“ დაამარცხა ვილნიუსის რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის გუნდი — 16:15.

უკანასკნელ, მესამე დღეს, „სპარტაკმა“ მოუგო „ათლეტს“ — 25:19 და „ტრუდმა“ ვილნიუსელებს — 12:11.

ამგვარად, ტურნირში პირველი ადგილი მოიპოვეს სტუმრებმა ჩეხოსლოვაკიიდან, მეორე ადგილზე — მოსკოვის „ტრუდი“, მესამე — კუნსის „ათლეტი“.

კალათბურთელი ვაჟები მსოფლიო პირველობას გაითამაშებენ ფილიპინების ქალაქ მანილაში. იგი დაიწება 21 ოქტომბერს და 5 დღეს გაგრძელდება. აშშ-ს ქალაქ ტოლედოში 21-დან 27 ივნისამდე გაიმართება მსოფლიო პირველობა კლასიკურ და თავისუფალ ქილაობაში, ტანვარჯიშში მსოფლიო პირველობის მონაწილეები შეიკრიბებიან პრალაში (2-8 ივლისი), ვილნიუსის რეკონსტრუქციის — მილანსა და ბრეშისში (იტალია), აკადემიურ ნინოსონობაში პირველობა მოეწყობა ლუცერნაში (შვეიცარია).



როცა მსაჯმა-ინფორმატორმა გამოაცხადა მძიმე წონის მოქიდავითა მონაცემები საქართველო-ჩეხოსლოვაკიის ამხანაგურ საერთაშორისო მატჩზე კლასიკურ ქილაობაში, სპორტის სახანლოს ტრიბუნებზე ხმაურმა გადაიარა: თეიმურაზ ხითაროშვილი, 20 წლის სპორტსმენი, წონა — 114 კგ; ბეტერ კმენტი, 19 წლისა, 130 კგ. 16-კილოგრამიანი განსხვავება! ეს არც თუ ისე უმნიშვნელო უპირატესობაა, მითუმეტეს ისეთ მდგომარეობაში, რომელსაც თქვენ ამ სურათზე ხედავთ: ჩეხი მთელი თავისი სიმძიმით აწევს მოწინააღმდეგეს, რომელიც უკუგდებათ ცდილობს მის გადატანას. ეს სიტუაცია სამჯერ მაინც გამოვლიდა ზემოაღნიშნულ მოქიდავითა შეხვედრაში და სამივეჯერ დარბაზი ჯერ გაიკმინდა, ხოლო შემდეგ მჭუხარე ტაშით შეიძრა. სამივეჯერ ქართველმა სპორტსმენმა შეძლო მოწინააღმდეგის გადატანა, თანაც ისე, რომ გააკეთა ყოველი ხილური, მთელი ეს 8-ფუთიანი სიმძიმე თავის მკერდზე გადაატარა და მოიპოვა საჭირო ქულები.

ეს შეხვედრა მსაჯებმა ფრედ შეაფასეს, თუმცა იგი ნაკლებად შეესაბამებოდა ფაქტიურ მდგომარეობას. და ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხანგრძლივი დავის შემდეგ, რომელშიც მტკადა მზურვალე მონაწილეობას ღებულობდა ჩეხოსლოვაკელი მსაჯი ვ. ნოვაკი. აი, ამ ქვედა სურათზეც თქვენ ხედავთ, თუ როგორა მგზნებარებით იცავს იგი თავის თვალსაზრისს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ეს იქნება 1962 წელს

მსოფლიოს 82 ჩემპიონატი, ევროპის 18 პირველობა გათამაშდება 1962 წელს. მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენებს მასპინძლობას ორჯერ გაუწევს საბჭოთა ქვეყანა. 17-18 თებერვალს მოსკოვში მოეწეობა მსოფლიო პირველობის გათამაშება ციკურებში ვაუებისათვის, ხოლო ოქტომბერში ჩვენს ქვეყანაში გაიმართება მსოფლიო პირველობა ფრენბურთში ქალთა და ვაჟთა გუნდებისათვის.

8-18 მარტს ჩატარდება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი პოკეიში. იგი გაიმართება აშშ-ს ქალაქებში — კოლორადო-სპრინგსა და დენვერში. 14-17 მარტს ჩეხოსლოვაკია მიიღებს მსოფლიო პირველობის მონაწილეებს ციკურებით ფაგურულ სრიალში. ზამთრის ორქიდეში მსოფლიო პირველობა დაიწყება 4 მარტს ჰამენ-

ლიში (ფინეთი). ამ ვალებში იმპორტში (ფინეთი) ერთმანეთს შეხვედებიან მსოფლიო პირველობის მონაწილენი ციკურებით სრიალში (ქალები).

18-დან 25 თებერვლამდე პოლონეთის მადალშიან კურორტ ზაკოპანეში ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი თხილაბურებში, ხოლო 10-დან 18 თებერვლამდე შამონში (საფრანგეთი) მოეწყობა მსოფლიო პირველობა სამთო-სათხილაბურ სპორტში.

მომავალი წლის სპორტული სეზონის ყურადღების ცენტრში იქნება მსოფლიო პირველობის გათამაშება ფეხბურთში, რომელიც მოეწყობა ჩილში. იგი დაიწყება 30 მაისს და გასტანს 17 ივნისამდე. ჩვენი კონტინენტის უძლიერეს მძღონებს მიიღებს იუგოსლავიის დედაქალაქი ბელგრადი. აქ 12-

დან 16 სექტემბრამდე გაიმართება ევროპის პირველობა მძღონობაში. მომავალ წელს ჩატარდება აგრეთვე ევროპის პირველობები ცურვაში, წყალში ხტობასა და წყალბურთში (ლეიპციგი, 18-25 აგვისტო), კალათბურთულ ქალთა ევროპის ჩემპიონატი მოეწყობა 23-30 სექტემბერს მიულუსში (საფრანგეთი).

მსოფლიოს უძლიერესი ძაღონები თავს მოიურჩიან ამერიკის შეერთებულ შტატებში. სპორტის ამ სახეობაში მსოფლიო პირველობის ჩატარება განზრახულია ავვისტოში. ბუენოს-აირსში (არგენტინა) მოეწყობა მსოფლიო ჩემპიონატი ფარეკობაში. მისი ჩატარების ვადაა 16-28 ივლისი. თანამედროვე ხუთქიდეში მსოფლიო პირველობა გათამაშდება მეხიკოში (21-25 ოქტომბერი),

მიროგ-ბონტონისა და ხაინ-ლინის პარტები.

ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი, ხოლოვი დაამარცხდა შამკო-ვიჩთან, კოცი — ვასილკოვთან, ავერბაზი — გივსლისთან. ბაგროვის ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი პარტია კერესთან. ამ ტურირდან მხოლოდ 2 პარტია გადაიდა.


10 ტურის შემდეგ კვლავ პირველ ადგილზეა სპასკი (7 ქულა და 1 გადაღებული პარტია). 11-111 ადგილებზე არიან ხოლოვი

ბაქოში შედგა ქილაობის სსრკ XXIX ჩემპიონატის მე-9 და მე-10 ტურები.

მე-9 ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა გურგენიძემ, რომელმაც დაამარცხა ჩვენი ქვეყნის უხუცესი მოჭადრაკე ნეკეტილიანი. ხოლო მე-10 ტურში მოულოდნელად ბრონტეინმა — ტაიშანოვს. დახვეცა არჩივს ლეინ-სპასკმა, კოც-ავერბაზმა, გივსლის-შაინოვსკომ და კერეს-ტალმა. აღსანიშნავია, რომ მანამდე ჩატარებული შეხვედრების ანგარიში ტალსა და კერესს

შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ იყო (7,5:4,5). ტურის დანარჩენი 3 პარტია გადაიდა, სადაც სმისლოვს რთულ პოზიციაში შამკოვიჩთან ზედმეტი პაუკი აქვს.

მე-10 ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონების — ტალისა და სმისლოვის შეხვედრამ ვერც ერთ გროსმაისტერს ვერ მოუტანა გამარჯვება. დაძაბული ბრძოლის შემდეგ ისინი ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ტაიშანოვ-პოლუგაევსკის, ვლად-



ჩვენი გავითის უმეღვნი ნომერი გამოვა ორშაბათს, 4 დემკრატული.

დიდი ტურნი სამხრეთ ამერიკაში

დამთავრდა საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების ტურნი სამხრეთ ამერიკაში, რომელმაც ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა წევს გუნდს.

29 ნოემბერს საბჭოთა ნაკრებს თავისი ბოლო გამოსვლა ჰქონდა ლათინურ ამერიკაში. იგი მონტევიდეოში, „სენტენარიოს“ სტადიონზე შეხვდა ურუგვაის ეროვნულ ნაკრებს.

ურუგვაული ფეხბურთი ფართოდ და ცნობილი საერთაშორისო ასპარეზზე. ამ პატარა ქვეყანაში ფეხბურთის თამაში დაიწყო ჰერ კიდევ გასული საუკუნის დასასრულს და სულ მალე მიადწიეს შესანიშნავ წარმატებებს: ურუგვაელებმა ორჯერ მოიპოვეს ოქროს მედლები ოლიმპიურ თამაშებზე: (1924, 1928 წლები) და ორჯერ გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები (1930, 1950 წლები). მართალია, შემდგომში ურუგვაის ნაკრებს არა ჰქონია ასეთი მასშტაბის წარმატებები, მაგრამ იგი უცვლელად შედის სამხრეთ ამერიკის „დიდი ხამელის“ შემადგენლობაში: ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი.

საბჭოთა კავშირისა და ურუგვაის გუნდების მატჩი დიდ ინტერესს იწვევდა საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში და მას მრავლად ესწრებოდნენ სპეციალისტები სხვადასხვა ქვეყნებიდან.

საბჭოთა ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს მატჩი. კვლავ შესანიშნავად ითამაშეს ვარეშობა — მესხმა და მეტრეველმა. ანგარიში 2-7-ე წუთზე გახსნა საბჭოთა გუნდის თავდამხმელმა გუსაროვმა, მაგრამ 2 წუთის შემდეგ მასპინძლებმა გაქვიტეს გოლი — 1:1. ბურთი გაიტანა კუბილიასმა.

ტაიმის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე მესხმა თავის ფლანგზე წამოიწყო შეტევა, რომელიც გოლით დამთავრა პონედელნიკმა. ეს ანგარიში — 2:1 სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ არ შეცვლილა თამაშის ბოლომდე.

ამრიგად, საბჭოთა ფეხბურთელებმა 3 მატჩი ჩაატარეს სამხრეთ ამერიკაში. მათ დამარცხეს არგენტინა — 2:1, ჩილი — 1:0 და ურუგვაი — 2:1. აღსანიშნავია, რომ სამივე ეს გუნდი მსოფლიოს 1962 წლის ფინალური თამაშების მონაწილეა.



სურათზე: ზევით — „კოლმეურნის“ მოკიდავეთა გუნდი, რომელმაც სოფლის სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრებაზე „სოლონი“ ჩემპიონობა ქვეით — მამბე-წონის მოკიდავეების ზ. ხარაიშვილისა და ე. ლეგვინის ორთაბრძოლა.


1958 წელს სტავროპოლში გამართა სოფლის სპორტსმენების საკავშირო სპარტაკიადი, სადაც თავი ისახელა საქართველოს „კოლმეურნის“ თავისუფალი სტილით მოკიდავეებმა. მათ ძლიერად ჩაატარეს ტურნირი, დაიკავეს საერთო გუნდური პირველი ადგილი და მოიპოვეს გარდამავალი თასი. მას შემდეგ თასის მფლობელებს არ ახსოვთ დამარცხება. მომდევნო წელს გამართა მხოლოდ 4 რესპუბლიკის — რსფსრ-ს, უკრაინის, ესტონეთისა და საქართველოს გუნდების მატჩი და მამბე-წონის გამარჯვებულები დაბრუნდნენ „კოლმეურნის“ მოკიდავენი მასხაყალიდან, ხოლო შარშან ერევანში გამართულ ზონალურ შეჯიბრებაზე მათ ერთხელ კიდევ ცხადვეს თავიანთი სიძლიერე.

წელს სოფლის სპორტსმენთა საკავშირო ტურნირზე 12 გუნდმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ რსფსრ-ს ტაჭიკეთის, უკრაინის, ყირგიზეთის, სომხეთის, ესტონეთისა და სხვა რესპუბლიკების სოუკეთესო მოკიდავენი და ამჟერადაც საქართველოს კოლექტივმა არავის დაუთმო ბროლის თასი. მათ უპირატესობაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ყველა წონით კატეგორიაში საქართველოს გუნდმა მოიპოვა 2 პირველი, 4 მეორე, 1 მესამე და 1 მეექვსე ადგილი. ქვემოთ წონაში სპორტის ოსტატ გ.

რზე ტომრის ნაცვლად იყენებდნენ ხარის ბუშტს, რომელსაც უნდა უმადლოდეს თანამედროვე რეგბის ბურთი თავის ოვალურ ფორმას. 1848 წელს ინგლისელი ელისის მიერ შემუშავებულ იქნა რეგბის პირველი ოფიციალური

გზირიშვილის წარუმატებლობა განპირობა მხოლოდ მისმა ავადმყოფობამ.

სხვა წონეებში „კოლმეურნის“ მოკიდავეებმა კვლავ ღირსეულად ჩააბარეს გამოცდა. უმატეს წონაში ხპორტის ოსტატმა ზ. მონასელიძემ ზედისედე წმინდად დაამარცხა სომხეთის გუნდის წარმომადგენელი ნ. ალბარანი, მოლაველი გ. გრიგელი, უკრაინელი ოსტატი ი. ოსაძი და მხოლოდ ს. ეფენდიევიან (რსფსრ) შეხვედრაში დაჯერდა ფრეს, რაც საკმარისი იყო პირველი ადგილის მოპოვებისათვის.



თასი შეპინარჩხუნეთ

6 შეხვედრა ჩაატარა მატჩი წონის პირველთაბრძოლაში უ. კველიშვილმა. 5 წმინდად იქნა მოგებული, ხოლო ერთი — წაგებული ქულებით. აქ პირველ ადგილზე გამოვიდა მ. კოჩიევი (რსფსრ), ხოლო მეორეზე — კველიშვილი. მან პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა, მეორე ადგილზე გამოვიდა სპორტის ოსტატი ბ. მარიდაშვილი კვემსუბუქ წონაში. იგი მესამე წრეში შეხვდა რსფსრ-ს გუნდის წევრს მ. დერეშიანს. მანამდე მოწინააღმდეგეებს 2-2 შეხვედრა ჰქონდათ მოგებული წმინდად. დროის მიხედვით უპირატესობა ქართველი მოკიდავის მხარეს იყო, მაგრამ აქ იგი საკუთარ ფანდზე „წამოვიდა“ და მოწინააღმდეგეს დაუთმო მოგება.

ამ შეჯიბრების შემდეგ კიდევ ერთი ოსტატი გაიზარდა საქართველოს ოსტატ მოკიდავეთა რიგები. ა. მელანაშვილი მსუბუქ წონაში ექვსჯერ გამოვიდა ხალიჩაზე და ექვსჯერ გამოარჯივა. იგი მხოლოდ ერთხელ დაკამოფილდა ქულებით გამარჯვებას და მოიპოვა ჩემპიონობა. ქვესაშუალო წონაში 5 ოსტატი და 7 პირველთაბრძოლაში იბრძოდა გამარჯვებისათვის. საქართველოს გუნდის წევრის ა. ცხოვრებოვის სისახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი მე-6 წრემდე შეჯიბრების ერთპირიველი ლიდერი იყო და სწორედ აქ, უკანასკნელ შეხვედრაში ვერ აცდა დამარცხებას. მსაჯებმა 10-წუთიანი ბრძოლის შემდეგ ქულების მინიმალურ

ში უპირატესობით გამარჯვება მიაკუთვნეს ყაზახელ ოსტატ ა. სიმკინს. ცხოვრებოვი მეორე ადგილზეა. მომდევნო წონაში თავის შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდა ი. სალარაძე. მან მე-3 ადგილი დაიკავა, თუმცა მასთან შეხვედრაში მსაჯებმა მეტად სეკუვო გამარჯვება (ქულებით) მიაკუთვნეს ე. ცაბანოვს (უზბეკეთი). ამ წონაში გამარჯვა ვ. ლინაგინმა (რსფსრ). მამბე წონაში ზ. ხარაიშვილმა 2 წუთსა და 35 წამში წმინდად დასდო ლატვიელი ლეგვინის ბოლო-შეხვედრაში და მეორე ადგილი მოიპოვა. ი. ჩხარტიშვილი, გუნდის მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი,

ხის დარტყმის შემდეგ — გუნდს ეძლევა 3 ქულა და ცდის რეალიზების უფლება, ე. ი. გუნდს „ცდის“ შემდეგ შეუძლია გააკეთოს საჯარიმო დარტყმა 22 მეტრის მანძილიდან მოწინააღმდეგის კარში, თუ ამ შემთხვევაში

ბა, რაც წესებით აკრძალულია, ხოლო თუ მოთამაშე თავისი თანაგუნდელის წინ იმყოფება, რომელიც ფლობს ბურთს, ითვლება, რომ უზურთო მოთამაშე „თამაშობს“ მდგომარეობაში. ბურთის ფეხით დარტყმის შემდეგ „დამარტყმელი“ მოთამაშის გუნდის წევრებს შეუძლიათ მიიღონ თამაშში მონაწილეობა იმ შემთხვევაში, თუ ისინი იმყოფებიან „დამარტყმელი“ მოთამაშის უკან.

თამაშის დროს შეიძლება ბურთიანი მოთამაშის დაქერა ან დაკავება, მაგრამ ეს ხდება გარკვეული წესების შესაბამისად, ამიტომ არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს მოთამაშეთათვის.

ბევრს შეიძლება გაუკვირდეს, რომ ფეხებისა და ხელების მტკრებაზე, ან ყურის ჩამოხვევაზე არ იყო ლაპარაკი, ბევრი სპორტის მოყვარული ცდებდა, როცა რეგბს ამერიკულ ფეხბურთს ადარებდა. მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც კლასიკურ ქიდაობასა და კეტჩს შორის.

რეგბი სარგებლობს დიდი პოპულარობით დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ ამერიკაში, აფრიკაში, აზიაში, ავსტრალიაში.

ლოაში. საერთაშორისო ფედერაცია აერთიანებს რამდენიმე ათეულ სახელმწიფოს. ზოგიერთ ქვეყანაში კი რეგბი (მაგ. ინგლისში, რუმინეთში) წარმატებით უწევს კონკურენციას ფეხბურთს. კობასა და ფონტენის სამშობლოში ამ რამდენიმე ხნის წინ ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად აღიარებულ იქნა რეგბისტი ეან მიახი, ხოლო მსოფლიოს 10 საუკეთესო სპორტსმენს შორის 3 რეგბისტი შევიდა.

საერთაშორისო მხანაგურმა შეხვედრებმა, რომელიც მისკოივის ნაკრებმა გუნდმა მოაწყო პოლონეთში, გვიჩვენა, რომ ჩვენს სპორტსმენების თამაშის კლასი დიდად არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთის გუნდების თამაშის კლასს. ჩვენი რესპუბლიკის სპორტულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა დანერგონ სპორტის ეს საინტერესო სახეობა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს გუნდები წარმატებით გამოვლენ საკავშირო სარბიელზე.


გ. მრალაშვილი, მწვრთნელი რეგბში.

რა პარის რეგბი?

რეგბის სამშობლო ინგლისია, რეგბი ჰქვია პატარა ქალაქს ინგლისში, სადაც ჩატარდა პირველი შეხვედრა სპორტის ამ სახეობაში. ეს იყო 1823 წელს. მაგრამ გაცილებით უფრო ადრე ეს თამაში წარმოადგენდა ინგლისის სოფლის მეკიდრთა მხიარულ გასართობს, რომლებიც ცდილობდნენ ნაგეთ გატენილი ტომრის შეტანას მეზობელ სოფელში. ასეთი გართობა ქალაქებშიც მოეწონათ და მალე მათაც დაიწყეს ურთიერთშორის შეჯიბრება. ხშირი იყო შემთხვევები, როცა მეცხოვრებლები კეტავდნენ ქალაქის კარებს და ამიტომ მათი „მატჩები“ იმულებული იყვნენ ტომრა კარებს შემოთ გადაეგდოთ. ამით აიხსნება ის, რომ თანამედროვე რეგბის კარებში (რომელიც „H“ ფორმისაა), ბურთი გატანილად ითვლება, თუ იგი ძელს ზევითაც გადავიდის. განვითარების შემდეგ საფეხურ-

წესები, რომლის დიდი ნაწილი ახლაც ძალაშია. თანამედროვე რეგბის გუნდი შედგება 15 კაცისაგან: № 1-8 — შერკინების მოთამაშეები, № 9 — ნახევარცენტრი, № 10 — ე. წ. მოხეტიალე მოთამაშე, № 11-14 — თავდებსა, № 15 — მცველი. რეგბის მოედანი ზუსტად ისეთია, როგორც ფეხბურთისა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მოედნის მხარეს გვერდით ხაზები გრძელდება 10-22 მეტრზე და პირითი ხაზის პარალელურ ხაზთან ადგენს მართკუთხედს, ე. წ. ჩათვლის მოედანს. მოწინააღმდეგეთა პირდაპირი შეტაკება ხდება შუა სათამაშო მოედანზე, ხოლო ჩათვლის მოედანზე წარმოებს ბურთის მიწაზე დაშვება, რაც წარმოადგენს თამაშის მთავარ მიზანს. ბურთის მიწაზე დაშვებას ეწოდება „ცლა“ და ისევე როგორც თამაშიდან ბურთის ზედაძელს ზევით გადაღების შემთხვევაში (ფე-

ბურთი გადაუღვლის ზედა ძელს, გუნდს ეთვლება დამარცხებული. ისევე როგორც სპორტის სხვა სახეობებში, რეგბში დიდი მნიშვნელობა აქვს მოთამაშეთა ინდივიდუალურ ტექნიკას, აგრეთვე სისწრაფეს და გამძლეობას, მაგრამ რეგბში მთავარი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბურთის კოლექტიური ტარების ტექნიკას. ეს გამოწვეულია იმით, რომ რეგბში ბურთის გადაცემა შეიძლება მხოლოდ უკან ან გვერდით. მოთამაშე, რომელიც ბურთს ფლობს, ყოველთვის უნდა იმყოფებოდეს დანარჩენ მოწინააღმდეგეთა წინ. წინ გადაცემა ისევე ისევე, როგორც ფეხბურთში ხელოთ თამაში. თუ მოთამაშე ბურთს წინ გადასცემს, „წინ თამაშად“ იწოდება.




სურათებზე: მარცხნიდან მარჯვნივ — ქუთაისელ ტურისტებს ესაუბრება სოფელ სრეთის მკვიდრი ოთხმოცდახუთი წლის მოხუცი; მოლაშქრეები ყოველ დღით ხალხს აცხადებენ დაქუთაისის მნიშვნელობას მარტინიანი-ბრეთის მამულში; მამულის მფლობელი ლეონიანი ქალაქში მოუცხადა „ბრილიანტს“.

მრავალღიანი ღამეობაში

ქუთაისის პროტექტორი და 21-ე საამშენებლო სასწავლებლის მოსწავლე-ტურისტთა ღამეობა (60 კაცი) ამ დღეებში მოაწყო 5-ღიანი ღამეობა. მათი მარშრუტი ასეთი იყო: ქუთაისი — ტყიბული — ნაქარა — ხარისთვალა — ნიკორწმინდა — ჰელია დელის გავლით — თლუხი — საწალოკო — ხრეთი — ჭიათურა — საჩხერე — სხვიტორი — ქუთაისი. პირველ დღეს ახალგაზრდა ტურისტებმა შეხატეს ქალაქი —

ტყიბული დათვალიერეს, ეწვივნენ შორაპსს, ჩამოიტოვეს ხარისთვალა და გზის მახლობლად ღამის გასათევი ადგილი მოაწყვეს. მეორე დღე მოლაშქრეებს წვიმიანი დაუღვათ, მაგრამ მარშრუტის შეცვლაზე არავის უფიქრია. გეზი დასახული გეგმით — ნიკორწმინდასკენ აიღეს. ნიკორწმინდაში მოსწავლეები ალტაცებში მოიყვანა ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშებმა. ტურისტები ჰელია დელზე გავლით თლუხისკენ გაემართნენ.

მესამე დღეს ტურისტებმა საწალოკო დალაშქრეს, შემდეგ მთის დაქაჩილი ბილიკებით ჭიათურისკენ მიმავალ გზას დაადგინეს, ჩქარა სოფელი ხრეთიც გამოჩნდა და ახალგაზრდა მოლაშქრეები ხრეთიელმა მოსწავლეებმა გულითად მიიღეს. გადაწყდა ამგვარად ხრეთში დაბანაკებულიყვნენ. მეორე დღეს ქუთაისელმა ტურისტებმა და სოფელ ხრეთის მოსწავლეებმა მეგობრული შეხვედრები გამართეს ფრენბურთში,



ქადაგება. გულთბილი შეხვედრა დაშთავდა. ტურისტებმა მოგზაურობა განაგრძეს. ჩამოიტოვეს სოფელი რგანი და ჩქარა ჭიათურაში შევიდნენ. ინდუსტრიული ქალაქის დათვალიერების შემდეგ ახალგაზრდა მოლაშქრეებმა საჩხერისკენ

აიღეს გეზი... ეწვივნენ მოლინის ციხეს, სხვიტორს, მოინახულეს აკაის სახლ-მუზეუმი და ღრმა შთაბეჭდილებებით მშობლიურ ქალაქს — ქუთაისს დაბრუნდნენ.

ბ. ლოლოვაძე,
უ. ჩიშვასაძე.

ჩ ე ხ ე ბ ი — ფინალში

ფეხბურთში მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირის VIII ჯგუფში მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის, შოტლანდიისა და ირლანდიის (გირეს) გუნდები.

ირლანდიის ფეხბურთელები და მარტინიანი იქნენ ორივე მოწინააღმდეგის მებრ, ხოლო ფეხბურთელებმა — ჩეხოსლოვაკიამ შოტლანდიამ ერთმანეთს შორის ითამაშეს თანაბრად: ერთი მატჩი მოიგეს ჩეხებმა — 4:0, — ერთი შოტლანდიელებმა — 3:2, რომლებმაც დააგროვეს ქულათა თანაბარი რაოდენობა — 6.

ფინალის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი მატჩი, რომელიც 20 ნოემბერს შედგა ნეიტრალურ მიწაზე — ბრიუსელში.

ჩეხოსლოვაკიის გუნდმა შეძლო მოწინააღმდეგის დამარცხება ანგარში 4:2 (დამატებით დროში) და გავიდა უფრო რიგში VII თასის გამაშვების ფინალში.

ამრიგად, ფინალის 16 მონაწილედან უკვე ცნობილია 15. ბოლო, მე-16 ფინალისტს გამოარჩევს საფრანგეთ-ბულგარეთის გუნდების შეხვედრა, რომელიც 16 დეკემბერს შედგება მილანში (იტალია).

მარტინიანი ლაუერი ვალშია


რამდენიმე თვე იწვა საავადმყოფოში ცნობილი დასავლეთგერმანელი მძღველსანი, მსოფლიო რეკორდსმენი თარგბენში, რომელ ოლიმპიურ თამაშებში ესტაფეტაში გამარჯვებული მ. ლაუერი. ექიმები შიშობდნენ, რომ მას შეეძო-

იუგოსლავიის მუხრე აზიში

იუგოსლავიის ეროვნული ნაკრები (მწვრთნელები ტირნინი და ჩირიჩი) გამგზავრა აზიაში, სადაც რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს. იგი ორჯერ ითამაშებს პონკონგში ადგილობრივ გუნდებთან, შემდეგ ეწვევა ინდონეზიას, სადაც ჯაკარტაში ორ შეხვედრას გამართავს რესპუბლიკის ნაკრებთან. დეკემბრის შუა რიცხვებში იუგოსლაველები ტელ-ავიში ითამაშებენ ისრაელის ნაკრებთან. ასეთი ნაკრები ძლიერი მეტოქეები იუგოსლაველებმა იმერტომ იპირიეს, რომ აპირებენ სხვადასხვა ტაქტიკური ვარიანტების გასინჯვას. ამასთან, როგორც მიმომხილველები აცხადებენ, იუგოსლაველებს ნაკლებად აინტერესებთ მატჩების შედეგები და მთავარ ყურადღებას მოთამაშეთა ფორმის შენარჩუნებას უთმობენ.

ტურნე ორ კვირას გასტანს. იუგოსლავიის ნაკრებში შეიყვანეს მკარებები: შოშიჩი და სტოიანოვიჩი, მცველები: ლუკოვიჩი, მარკოვიჩი და იუსუფი, ნახევარმცველები: ნიკოლიჩი, რადიკოვიჩი, კოზლინა, ვასოვიჩი და ბენა, თავდასხმელები: ჩეზინაქო, მუიჩი, კოვაჩევიჩი, ვალიჩი, შეკულარაძი, ტაქაჩი და ერკოვიჩი.

ლებოდა დაკარგოდა ფეხი, მაგრამ ვეღაფერი ბედნიერად დამთავრდა. დარჩა მხოლოდ ვალბი. მიუნხენის საავადმყოფო ითხოვს 10.000 დამატებითი მარტინიანი მ. ლაუერის (დაახლოებით 3.000 მ). ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ამბავი დასავლეთ გერმანიის სპორტსმენებს სოლიდარობა რომ არ გამოეჩინათ და დახმარება არ გაეწიათ მ. ლაუერისათვის. ამასთან დაკავშირებით გდრ-ს ჟურნალ „შპორტ იმ ბილდს“ მოჰყავს ანალოგიური მაგალითი გდრ-ს ცნობილი სპორტსმენის ჰ. გლასის



დათმობს თუ არა „მილანი“ გრიუსს?

ინგლისის ჩემპიონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ მენეჯერი ბ. ნიკოლის თვისი კლუბის გულშემატკივრებს დაჰპირდა, რომ იგი შეეცდებოდა დააბრუნოს იტალიიდან ცნობილი ინგლისელი ფორვარდი გრიუსი. ბ. ნიკოლსმა „მილანის“ პატრონს აცნობა, რომ „ტოტენჰემ ჰოტსპური“ თანახმაა საამისოდ გადაიხადოს 100 მილიონი ლირა.

საყურადღებოა, რომ გრიუსის შემენა სურთ ესპანურ კლუბებსაც, რომლებმაც სათანადო წინადადებით მიმართეს „მილანს“, მაგრამ ეს კლუბი ჯერჯერობით ვერ ელვება გრიუსს, საქმე იმაშია, რომ იტალიელი ფურნალისტებისა და გულშემატკივრების უმეტესობის მიუხედავად, რომლებიც გრიუსს აბრალებენ პასიურობასა და სიმულაციას, ინგლისელი „ვარსკლავი“ თვალსაჩინო ძალაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მან იტალი-

ურსაგებ. გლასმა შევიბრების დროს დაიხიანა ფეხი. და ისიც რამდენიმე თვე იწვა საავადმყოფოში, გარშემორტყმული ყურადღებითა და მზრუნველობით. გამოჯანმრთელებულმა ჰ. გლასმა ყოველგვარი ვალბის გარეშე დროვა საავადმყოფო. „და ეს იმიტომ კი არა, — წერს ჟურნალი, — რომ ჰარი გლასი ცნობილი სპორტსმენია, არამედ იმიტომ, რომ იგი არის იმ გერმანული სახელმწიფოს მოქალაქე, სადაც ჰუმანურობა არ წარმოადგენს ლიტონ სიტყვას.“

ის ჩემპიონატში 9 ბურთი გაიტანა და სწრაფთაგან ჩამორჩება მხოლოდ ჰამარს (10 ბურთი). საყურადღებოა, რომ იმ მატჩებში, სადაც გრიუსი, იტალიელი ფურნალისტების რწმუნებით „მთელი ძალით ითამაშობდა“, მისი კლუბი ყოველთვის იმარჯვებდა.

განსაკუთრებით ბრწყინვალედ ჩაატარა გრიუსმა შეხვედრა იტალიის ჩემპიონატის ლიდერ „ინტერნაციონალსთან“, სადაც მან ორი ბურთი გაიტანა და პარტიზორებსაც კარგად შეეწყო. ეს მეტად მნიშვნელოვანი მატჩი „მილანმა“ მოიგო ანგარიშით 3:1.

როგორც „უნიტა“ იუწყება

როგორც რომის გაზეთი „უნიტა“ იუწყება, იტალიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯ. ფარაიმ გამოაცხადა გუნდის შემადგენლობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს უახლოეს საერთაშორისო თამაშებში. მკარებები — ბუფონი და ჯ. სარტი; მცველები — რობოტი, ბ. სარტი, მალდინი, ლოზი; ნახევარმცველები — ემოლი, ტრაპატონი და ბოლი; თავდასხმელები: ჰასკუტი, კორსო, სიგერი, ალტაფინი, რივერა და ანჯელილო.

ცნობილი გახდა აგრეთვე იტალიის ლიგის ნაკრების საბოლოო შემადგენლობაც, რომელსაც ჯ. ფონი წვრთნის. მკარებებში ითამაშებენ ალბერტო, კომეტი და ნეგრი. მცველები არიან ლავილი, ფონტანა, პავინო, იანაი და ბერნასკონი, ნახევარმცველები: კოლომბო, ნილსენი და ცავალი, რაც შეეხება თავდასხმას, აგი თითქმის მთლიანად უცხოურია. აი მისი შემადგენლობა: ბეკერი, ლო, ჰამირი, პეტრისი, სორმანი, პიტრენსი სუარესი, ჩარლზი.

კოსტალიავეა ელიოპას „კრაპერის თასი“

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ე. წ. „კრაპერის თასის“ ფინალში გავიდნენ ავსტრიისა და აშშ-ს ჩოგბურთელები, ფინალისტთა მატჩი გაიმართა იოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკა). ამასთან, ამერიკელებმა ვერ გამოიყვანეს განთქმული ჩოგბურთელი რ. გონზალესი, რომელიც საკუთარი განცხადებით აღარ აპირებს მონაწილეობა მიიღოს ოფიციალურ შეჯიბრებებში.

ფინალური მატჩი მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა. აშშ-ს ჩემპიონმა და უიმბლდონის ტურნირის ფინალისტმა მაკ კეიმ მოუგო მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს, „კრაპერის ცირკის“ პრემიერს ჰოლდს — 5:7, 8:6, 3:6, 8:6, 6:2. სამაგიეროდ ჰოლდის დამარცხებისათვის მაკ კეისთან რვეანში აიღო მსოფლიო ჩემპიონმა როზუელმა — 4:6, 6:3, 6:4, 6:4. მაგრამ როზუელმა მომდევნო მატჩი წააგო ტრაპერთან (აშშ) — 6:1, 6:8, 3:6, 4:6, შემდგომში მდგომარეობა გამოსწორა ჰოლდმა, რომელმაც შედარებით იოლად სძლია ტრაპერს — 6:4, 3:6, 6:3, 6:0. ამგვარად, თვითუღმა გუნდმა მოიგო 2-2 შეხვედრა.

თასის ბედი უნდა გადაეწყვიტა წყვილთა შეხვედრას. ჰოლდისა და როზუელის წინააღმდეგ გამოვიდნენ ტრაპერი და ბუზოლიცი (რომელიც მაკ კეის ცვლიდა). ეს შეხვედრა ჰოლდმა და როზუელმა კარგად ჩაატარეს და გამარჯვდნენ — 7:5, 6:1, 11:9. ამგვარად, ავსტრალიელებმა დაამარცხეს აშშ-ს გუნდი საერთო ანგარიშით 3:2 და მოიპოვეს ე. წ. „კრაპერის თასი“, რომელიც დაწესებულია პროფესიონალ ჩოგბურთელთათვის.

რედაქტორი ი. შაშვლაძე